

## მონაწილეების ინსტრუქცია

- (1) გამოცდის სრული ხანგრძლივობაა ოთხი საათი.
- (2) გამოცდა შედგება:  
ამოცანები 1-3 - თითოეული 50 ქულა -  $50 \times 3 = 150$  ქულა
- (3) კონვერტში მოთავსებულია
  - a. ამოცანების ფურცელი ინგლისურად
  - b. ამოცანების ფურცელი ქართულად
  - c. მუდმივების ცხრილი ინგლისურად
  - d. მუდმივების ცხრილი ქართულად
  - e. შემაჯამებელი პასუხების ფურცლები
  - f. დასკვნითი ფურცელი (Cover Sheet)
- (4) საწერად გამოიყენეთ მხოლოდ ლურჯი ან შავი კალამი. ნახაზებისთვის შეიძლება გამოიყენოთ ფანქარი. გრაფიკი აუცილებლად ფანქრით უნდა დახაზოთ.
- (5) უარყოფითი ქულები არიწერება.
- (6) დეტალური ამოხსნების გარეშე დაწერილი საბოლოო პასუხისთვის დაგაკლდებათ ქულები.
- (7) ქულები დაგაკლდებათ თუ საბოლოო პასუხში არასწორადაა ჩაწერილი ციფრების აუცილებელი რაოდენობა, ასევე თუ ერთეული არასწორადაა ან საერთოდ არაა მიწერილი.
- (8) ფუნდამენტური და ასტრონომიული მუდმივების საჭირო მნიშვნელობები უნდა გადმოიტანოთ მოცემული მუდმივების ცხრილიდან.
- (9) პასუხების ფურცლის გამოყენების ინსტრუქცია
  - a. პასუხების ფურცელი თითოეული კითხვისთვის ცალკეა მოცემული. კითხვის ან კითხვის ნაწილის პასუხი აუცილებლად ჩაწერილი უნდა იქნას პასუხების ფურცლის შესაბამის უჯრაში. თქვენი მონაწილის კოდი და გვერდის ნომერი დააწერეთ თითოეულ პასუხების ფურცელს.
  - b. პასუხების ფურცელზე გამოყოფილ ცარიელ ადგილას უნდა დაწეროთ დეტალური ამოხსნა. თუ დაგჭირდათ, შეგიძლიათ მოითხოვოთ დამატებითი ცარიელი ფურცლები.
  - c. თითოეული კითხვისთვის გამოიყენეთ ცალკე პასუხების ფურცელი.
  - d. დაწერეთ თქვენი მონაწილის კოდი, კითხვის ნომერი და გვერდის ნომერი თითოეული პასუხების ფურცლის წინა მხარეს.  
დაწერეთ მონაწილის კოდი და გვერდის ნომერი თითოეული პასუხების ფურცლის უკანა მხარეს.
  - e. გრაფიკის თითოეული ფურცელი ისე უნდა დანომროთ, როგორც კითხვაშია მითითებული.
  - f. გვერდები (გრაფიკების ფურცლის ჩათვლით) გადანომრილი უნდა იყოს უწყვეტად. მაგალითად, თუ სულ გამოიყენეთ 20 ფურცელი (შემაჯამებელი პასუხების ფურცლების ჩათვლით), მაშინ გვერდები გადანომრილი უნდა იყოს 1-დან 40-ის ჩათვლით.
  - g. წერეთ მხოლოდ ფურცლის შემოსაზღვრულ არეში.
  - h. ნამუშევარის ნაწილი, რომელიც არ გინდათ რომ შეფასდეს, გადახაზეთ.
- (10) გამოცდის დამთავრების შემდეგ
  - a. დასკვნით ფურცელზე გარკვევით დაწერეთ თითოეული კითხვის გვერდების ნომრები.
  - b. შეამოწმეთ რომ მონაწილის კოდი დაწერილი გაქვთ ყველა გვერდზე.

- c. დასკვნითი ფურცელი, ყველა პასუხების ფურცელი, ცარიელი ფურცლები და გადახაზული ფურცლები მოათავსეთ კონვერტში. კითხვების და მუდმივების ფურცელი შეგიძლიათ დაიტოვოთ.